

შვედეთის ტერმინოლოგიური პოლიტიკა და ენობრივი დაგეგმარება

1. შესავალი: ენობრივი სიტუაცია შვედეთში

შვედეთი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უკეთ განვითარებული სკანდინავიური ქვეყანაა, რომელიც ცხოვრების მაღალი სტანდარტითა და ლოიალური მიგრაციული პოლიტიკით გამოირჩევა. მიგრანტთა დიდი ნაკადების მიღების, ასევე ქვეყანაში ისტორიულად არსებული ეთნიკური თუ ენობრივი უმცირესობების არსებობის გამო ქვეყანას ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი დაგეგმარების ჩამოყალიბებული სისტემა აქვს. თუმცა ეს პოლიტიკა მუდმივად ერთგვაროვანი არ ყოფილა. ჯონ ბირგერ ვინსა აღნიშნავს, რომ შვედეთს აქვს ენის დაგეგმარების ხანგრძლივი კოლონიური ტრადიცია, დაფუძნებული ნაციონალისტურ ენობრივ პოლიტიკაზე, რაც უმცირესობათა ასიმილაციის მაღალ ხარისხს და შვედეთის ჰომოგენური, მონოლინგუური თვითმყოფადობის მქონე საზოგადოების შექმნას გულისხმობს (ვინსა 2000 : 203); სპეციალურ ლიტერატურაში შვედეთის ენობრივი პოლიტიკა, ძირითადად, უმცირესობათა ენებთან მიმართებით არის განხილული. შვედეთის ენობრივი პოლიტიკა, ევროპის ბევრი სხვა ქვეყნის პოლიტიკის მსგავსად, წლების განმავლობაში იცვლებოდა, მკვეთრად ასიმილაციური დამოკიდებულება შეცვალა პრაგმატულ-ინსტრუმენტალურმა მიმართებამ ენობრივი პლურალიზმისადმი, რაც გულისხმობდა მრავალენოვანი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას შვედების კულტურული ჰეგემონიის ფონზე (ვინგშტედტი 1998 : 355).

შვედეთის ენობრივი სიტუაციის წარმოჩენისთვის განვიხილავთ ძირითად პრობლემებს: პირველი, უმნიშვნელოვანესია ინგლისური ენის საკითხი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისურმა ენამ გერმანული, შვედებისთვის პირველი უცხო ენა, ჩაანაცვლა და დღემდე წარმატებით ისწავლება, ამასთან, ფართოდ გამოიყენება ინდუსტრიის, ბიზნესის თუ განათლების სფეროში. 2006 წლის ევრობარომეტრის მონაცემებით, შვედეთი ჰოლანდიასთან ერთად მთელ ევროპაში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით

გამოირჩევა (მოსახლეობის 89%-მა იცის ინგლისური) (ევროკომისია 2006: 13). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენის ფლობის ინდექსით მსოფლიოში 2015 წელს პირველი ადგილი შევდეთმა დაიკავა (<http://www.ef.se/epi/>) (პირველ ადგილზე არიან იმ ერებს შორის, რომელთათვისაც ინგლისური არ არის მშობლიური ენა). ზოგიერთ სამეცნიერო დარგში ინგლისური გახდა ძირითადი სამეცნიერო ენა, დისერტაციები ინგლისურად იწერება (მაგ., საბუნებისმეტყველო დარგებში). ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის როლი მუდმივად იზრდება უმაღლესი განათლების სისტემაში, რადგან იქმნება მრავალი სასწავლო გაცვლითი პროგრამა, ერთობლივი სამეცნიერო პროექტები და მისთ. (ვინსა 1999 : 380).

ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან გამოთქვამდა საზოგადოება უკმაყოფილებას ინგლისური ენის დომინანტობის გამო. შვედური კარგავდა გამოყენების სფეროებს და ინგლისური სტაბილურად ანაცვლებდა მას. მედიასა თუ პრესაში სულ უფრო ხშირად განიხილებოდა ენის საკითხი (ბოლტონი, მეიერკორდი 2013). ზოგიერთი მეცნიერი შვედურს, რომელზეც 9 მილიონი საუბრობს, „უმცირესობის ენად“ მიიჩნევდა ინგლისურენოვან მსოფლიოში (ფრაურუდი, ჰილტენსტამი 1999). სწორედ „ანგლიფიკაციის“ შიშმა, რომელიც უფრო აშკარა გახდა შვედეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ (1995), სახელმწიფოსა და საზოგადოებას უბიძგა შვედური ენის დაცვა სამართლებრივ ჩარჩოში მოექცია და შეექმნა ენის აქტი (2009).

მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ასპექტი შვედეთის ენობრივი პოლიტიკის თავისებურებისა და ენობრივი სიტუაციის განსასაზღვრად არის უმცირესობის ენათა ევროპული ქარტია და მისი განხორციელების თავისებურებანი შვედეთში. ქარტიის (1999) რატიფიცირებით შვედეთმა ცნო ხუთი ოფიციალური უმცირესობის ენა: სამური (სამი, ლაპების ენა), მიენკიელიური (Meänkieli „ჩვენი ენა“), ფინური, რომა (ბოშათა ენობრივი ნაირსახეობა) და ივრიტი. ეს ენები მანამდეც თავისუფლად თანაარსებობდა შვედეთში და რიგი აქტივობებიც ხორციელდებოდა ამ ენათა გასავითარებლად თუ დასაცავად, მაგრამ ევროსაბჭოს მოთხოვნების შესაბამისად, ამ ენებისთვის ოფიციალური სტატუსის მიანიჭება შვედეთის ენობრივი პოლიტიკის ნაწილი იყო. შვედებმა უმცირესობათა ენის განსაზღვრისას იხელმძღვანელეს საერთაშორისო კონვენციების მიხედვით (ქარტია, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაცია) და, შესაბამისად, ენები დაიყო მკვიდრ, ტერიტორიულ, არატერიტორიულ ავტოქტონ ენებად (ვინსა 2005 : 236):

ერთადერთ მკვიდრ ენობრივ უმცირესობას წარმოადგენს სამეზობის ენობრივი ჯგუფი. ისინი, სულ მცირე, 2 ათასი წელია, ცხოვრობენ შვედეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, ლაპლანდიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამეზობის საცხოვრისი შვედეთით არ შემოიფარგლება, ისინი სახლობენ ასევე რუსეთში, ფინეთსა და ნორვეგიაში (ვინსა 2005 : 236; ჰულტი 2014 : 186). პრაქტიკულად, სამურს უმცირესობის სტატუსი აქვს 1970-იანი წლებიდან. 1993 წლიდან ამ რეგიონის პარლამენტი შვედურთან ერთად სამურ ენაზეც მუშაობს, პლენარული სესიები ითარგმნება სამხრულ სამურად, ლულე სამურად, ჩრდილოურ სამურად და შვედურად, თუმცა შვედური და ჩრდილოური სამური დომინირებენ. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, ოფიციალური დოკუმენტები უნდა ითარგმნოს სამივე სამურ ენაზე სამი ან მეტი მთარგმნელის მიერ (ჰულტი 2014 : 189).

ერთადერთ ტერიტორიულ ავტოქტონ უმცირესობად ითვლებიან ტორნედალიელები, რომლებიც მე-12 საუკუნიდან ცხოვრობენ ჩრდილოეთ შვედეთის ოთხ მუნიციპალურ ერთეულში (ლიპოტი 2015 : 2). აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლებიდან თანდათან ტერმინი მიენკიელიური (*Meänkieli*) უფრო ფართოდ გამოიყენება და ანაცვლებს ტერმინს ტორნედალიური ფინური (*tornedalsfinska*). (ვინსა 2005 : 240).

არატერიტორიულ უმცირესობებად ითვლებიან: ბოშები (რომა) (მე-17 საუკუნიდან), ებრაელები (მე-18 საუკუნიდან) და ფინელები (მე-16 საუკუნიდან). ამ უკანასკნელ ჯგუფზე გრძელდება დისკუსია, ისინი მიგრანტები არიან თუ ტერიტორიულ უმცირესობად შეიძლება ჩაითვალოს. შვედეთის ფინურთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ფინეთისა და შვედეთის სახელმწიფოებრივ დონეზე ენაზე ზრუნვა. შვედურ-ფინური ენის საბჭო არის ერთადერთი საჯარო დაწესებულება, რომელიც უმცირესობათა ენის დაგეგმარებაზე მუშაობს შვედეთის ენის საბჭოსთან და ასევე, ფინეთის მსგავსსავე დაწესებულებასთან შეთანხმებით. ამდენად, ცდილობენ ფინური ორივე ქვეყანაში ერთნაირად განვითარდეს (მოხდეს ფინური ენის ტერმინოლოგიის ჰარმონიზაცია, თანაფარდობა შვედეთსა და ფინეთში). ამგვარი მუშაობის ერთი მთავარი მიზანი ფინელების (შვედეთსა და ფინეთში) ერთიანი თვითაღქმის ხელშეწყობაა. ტორნედალიელების ენა, მართალია, ფინურის ნაირსახეობაა (ჩრდილოური დიალექტი), თუმცა მათ თვითაღქმასთან დაკავშირებით ორი ერთმანეთის საპირისპირო ჯგუფი გამო-

იკვეთება, რომელთაგან უპირატესობა მათ ფინელებისგან განსხვავებულ იდენტობას ენიჭება (ლიპოტი 2015).

გარდა ოფიციალურად აღიარებული უმცირესობებისა, შვედეთში 150-200 ენაა აღნუსხული (ბენდლი და სხვ. 2005 : 2119). სავარაუდოდ, ვითარება რამდენიმე წელში შეიცვლება და გაცილებით კომპლექსური გახდება სირიიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან მიგრანტთა დიდი ნაკადების მიღების გამო.

2. ენის აქტი

როგორც აღვნიშნეთ, ენობრივმა სიტუაციამ შვედეთში, საზოგადოებაში წლების განმავლობაში შვედური ენის (და არა მარტო) შესახებ აქტიურმა მსჯელობამ, ევროკავშირში გაერთიანებამ განაპირობა შვედურ ენაზე ზრუნვის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. 2009 წელს შვედეთის პარლამენტმა ენის აქტი მიიღო. ეს აქტი საფუძველს უყრის და განსაზღვრავს ქვეყანაში ენობრივი პოლიტიკის პრინციპებს. აქტის მიხედვით, შვედეთში მთავარი ენა (*huvudspråk*) არის შვედური. ენის აქტში არის ასევე სპეციალური ნაწილი, რომელიც ტერმინოლოგიის საკითხს ეხება და იგი გულისხმობს, რომ მთარობას აქვს პასუხისმგებლობა იმისა, რომ შვედური ტერმინოლოგია სხვადასხვა სფეროში იყოს ხელმისაწვდომი, გამოყენებული და განვითარებული (ენის აქტი 2009: 600). ენის აქტის ეს მუხლი პრაქტიკაში ხორციელდება შვედეთის ტერმინოლოგიის ცენტრის (TNC) მიერ.

3. ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრი

3.1. ისტორია

შვედეთის ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრი (TNC) არის ერთ-ერთი უძველესი ტერმინოლოგიური ცენტრი მსოფლიოში, რომელიც 1936 წელს კერძო ელექტორტექნიკური კომპანიის ინიციატივით დაფუძნდა. ინიციატივა კი ამ კონკრეტულ სფეროში ტერმინოლოგიის შექმნის საჭიროებით იყო განპირობებული. ამ კომიტეტის ბაზაზე 1941 წელს ტექნიკური ტერმინოლოგიის მუდმივი ცენტრი ჩამოყალიბდა მთავრობასთან ერთად შემუშავებული წესდებით, რაც ცალსახად ასახავს შვედეთში ტერმინთშემოქმედებაზე ზრუნვის სპეციფიკას: თავიდანვე კერძო კომპანიებთან ერთად მუშაობს მთავრობა.

ცენტრის თავდაპირველი სახელი იყო *Tekniska nomenklaturcentralen* და აკრონიმი TNC. 2000 წელს შეიცვალა ამ ორგანიზაციის სახელწოდება და გაფართოვდა ფუნქციებიც, თუმცა აკრონიმი იგივე დარჩა იმ მიზნით, რომ ამ ცენტრის მუშაობის მუდმივობისთვის გაესვა ხაზი. ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრი (TNC) დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, თუმცა მუდმივად ფინანსდება სახელმწიფოსაგან. ბოლო 25 წელია გრანტებით ამარაგებს ენერგეტიკის, კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

3.2. საქმიანობის მიმოხილვა და ძირითადი პროგრამები (ინფრასტრუქტურა, ტერმინთბანკი)

ცენტრის უმთავრესი მოვალეობა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის შექმნაა. ცენტრის ამოცანები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. სთავაზობს ტერმინოლოგიურ მომსახურებას სამთავრობო უწყებებსა და კერძო ორგანიზაციებს;
2. შეიმუშავებს ტერმინოლოგიურ პროდუქტს, როგორცაა გლოსარიუმები, მონაცემთა ბაზები, კომპაქტდისკები..
3. შეიმუშავებს წესებსა და სახელმძღვანელოებს ტექნიკური ხასიათის ტექსტებისათვის;
4. აგროვებს, იწერს და ამუშავებს ტერმინოლოგიურ ინფორმაციას;
5. სთავაზობს ლექციებსა და კურსებს ტერმინოლოგიისა და ტექნიკური წერისათვის;
6. თანამშრომლობს სხვა ენისა და ტერმინოლოგიის ინსტიტუტებთან ორივე – ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
7. მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სტანდარტიზაციის საქმეში ISO და CEN-ის ფარგლებში, ასევე ეროვნულ სტანდარტიზაციაში (SIS). (ბუჰერი 2007 : 40).

ცენტრის საქმიანობის სრული სპექტრის აღწერას ერთი სტატიის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხებთ, თუმცა შევეცდებით ორი უმნიშვნელოვანესი პროექტი განვიხილოთ, რომლებიც ცენტრის სახელს უკავშირდება.

შვედეთის ტერმინოლოგიურმა ცენტრმა 2002 წლის ოქტომბერში დაიწყო პროგრამა *ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურა შვედეთისთვის (TISS)*. პროგრამის მიზანი იყო ტერმინოლოგიური ინფრას-

ტრუქტურის დახვეწა, გაფართოება. პროგრამის მთავარი კომპონენტებია: 1. ტერმინოლოგიური პორტალი, რომელიც მოცავს ტერმინთა ბანკს და 2. ტერმინოლოგიის კოორდინირების პროგრამა. სწორედ ამ პროგრამის კონცეფცია დაედო საფუძვლად 2005 წლის კანონპროექტს, რომელიც გულისხმობდა ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის (ეროვნული ტერმინთა ბანკის) კონსტრუქციის მოსამზადებელ სამუშაოებს და პროგრამა IATE-ს გამოცდას (Inter-Active Terminology for Europe). (ნილსონი 2010 : 61).

TISS-ის მსგავსი პროგრამები ევროპის სხვა ქვეყნებშიც დაინერგა მანამდე, ეს გამოცდილება, რა თქმა უნდა, გამოყენებული იყო შვედეთის ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრის მიერ. პროგრამის კონცეფცია უკვე გაცხადებული იყო პოინტერის პროექტში (1996 წელი). ამ პროექტის მიხედვით ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურის სრულად განხორციელება გულისხმობს: 1. მაღალკვალიფიციური ტერმინოლოგიური სამუშაოების ხელშეწყობას; 2. ტერმინოლოგიის პროფესიის ხელშეწყობას; 3. ტერმინოლოგიური სამუშაოების ყველა ასპექტზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; 4. ტერმინოლოგიური რესურსების გავრცელებასა და ტერმინთშემოქმედებისათვის ახალი საშუალებების განვითარების ხელშეწყობას; 5. სტანდარტიზაციის მხარდაჭერასა და გაძლიერებას.

პროგრამის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა შექმნილიყო სპეციფიკური პროფესიული გაერთიანებები, კავშირები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებოდნენ ტერმინოლოგიურ სამუშაოებზე სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ სფეროში, უნდა გამოკვლეულიყო ეროვნული ტერმინოლოგიური რესურსი და ყველაფერი ეს იმისთვის, რომ ვებგვერდზე დაფუძნებული (web-based) ტერმინოლოგიური პორტალი შექმნილიყო ტერმინთა ეროვნულ ბანკთან ერთად (ნილსონი 2010 : 65). უფრო კონკრეტულად პროგრამამ გაიარა შემდეგი ეტაპები:

- ტერმინოლოგიური რესურსების კვლევა;
- ტერმინოლოგიის კოორდინაციის პროგრამის შექმნა, რაც გულისხმობდა ტერმინთშემოქმედებაზე პასუხისმგებელი ხალხის ურთერთანამშრომლობას შვედეთის საჯარო დაწესებულებებს, სააგენტოებსა თუ კერძო კომპანიებში;
- იმ აქტუალობების გაგრძელება და სამუშაოების გაფართოება, რომლებიც უკვე არსებობდა ამ მიმართულებით, მაგ., ერთობლივი ჯგუფი კომპიუტერული ტერმინოლოგიისათვის (JOGSCOT);

- ამ ჯგუფების საპილოტე შესწავლა;
- ტერმინოლოგიური ტრენინგების პროგრამის შედგენა და სასწავლო მასალების მომზადება, ეს საქმიანობა გულისხმობდა აგრეთვე ევროკავშირის ტერმინოლოგიის გზამკვლევის შვედურად თარგმნას;
- ტერმინოლოგიის პორტალისა და ტერმინთა ეროვნული ბანკის შექმნა, რომელშიც არსებული ტერმინთბანკები და ტერმინთა კრებულები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა.

TISS პროგრამა წარმატებით განხორციელდა 2002-2004 წლებში. პროგრამის ერთ-ერთი მესვეური ჰ. ნილსონი პროგრამის წარმატებით განხორციელების წინაპირობად ასახელებს საზოგადოებაში სახელმწიფო ენის მნიშვნელობის გაცნობიერებას (ნილსონი 2010 : 63-64).

ეს პროგრამა ერთგვარად მოსამზადებელი სამუშაო იყო ეროვნული ტერმინთბანკის შესაქმნელად (*Rikstermbanken*). წინასწარ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ არსებული ტერმინოლოგიური რესურსების 22% შეძლებოდა შესულიყო ეროვნულ ტერმინთბანკში (ნილსონი 2010 : 67). ცენტრმა ტერმინთბანკის შესაქმნელად IATE-ს პროგრამული მხარდაჭერა აირჩია, რაც, ერთი მხრივ, განპირობებული იყო ამ პროგრამაში მუშაობის გამოცდილების ქონით და, მეორეც, ამ პროგრამის უმეტესი ფუნქციის ადაპტირება შვედური ენის სპეციფიკის გათვალისწინებით ადვილი იყო, კერძოდ, საძიებო სისტემისა და მონაცემთა შეყვანის ფუნქცია გამოიყენეს ტერმინთბანკისთვისაც. სტრუქტურულ დონეზე IATE-სა და ISO-ს სტანდარტებია მიღებული, თუმცა შვედეთმა პროგრამულად დახვეწა პლატფორმა ლინუქსის, მაიესქიუელის, ტომკატისა და სხვათა გამოყენებით (ნილსონი 2009 : 6).

ტერმინთბანკი ოფიციალურად 2009 წლის მარტში გამოქვეყნდა და მოიცავდა 65 000 ტერმინს, თუმცა ყოველწლიურად გამოქვეყნებულ ტერმინთა რაოდენობა იზრდება, რადგანაც ბანკში შესაძლებელია მონაცემთა რედაქტირება, დამატება და მისთ. აღსანიშნავია ბანკის ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება: ის შეიცავს შვედური ტერმინების არამარტო ინგლისურ ეკვივალენტებს, არამედ იმავე ტერმინებს ოფიციალურ უმცირესობათა ენებზეც. ტერმინთბანკით სარგებლობა უფასოა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

3.3. ცენტრის თანამშრომლობა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე

ენობრივი დაგეგმარების მთავარი ორგანო შვედეთში არის შვედეთის ენის საბჭო, რომელიც კულტურის სამინისტროს მიერ არის დაფუძნებული. მისი მთავარი ფუნქციაა ენის ზოგადი გამოყენების ხელშეწყობა, საბჭოს კონტროლის რაიმე ბერკეტი არ გააჩნია, ხოლო ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრს უფრო კონკრეტული, სპეციფიკური მოვალეობები აქვს დაკისრებული. ორგანიზაციებს შორის პასუხისმგებლობის სფეროები განაწილებულია, ორივე სააგენტო არის ენის სპეციალისტთა სხვა ინსტიტუტების ქსელის შემადგენლობაში (ვგულისხმობთ შემდეგ ინსტიტუტებს: შვედეთის აკადემია, ენის კონსულტანტები მედიაში, შვედეთის სტანდარტების ინსტიტუტი და ა.შ.). ეს ინსტიტუტები წელიწადში ოთხჯერ ხვდებიან ერთმანეთს, რათა გაცვალონ ინფორმაცია, განიხილონ ენის პოლიტიკა და ტერმინოლოგიური საკითხები. რეგიონულ დონეზე ცენტრი თანამშრომლობს სკანდინავიურ ქსელთან (Nordterm), რომელიც 1976 წელს ჩამოყალიბდა ერთი მიზნისთვის: შეემუშავებინა ერთნაირი მიდგომები ენობრივ პოლიტიკასთან და ტერმინთშემოქმედებასთან მიმართებით სკანდინავიაში (ბენდლი და სხვ. 2005 : 1944). ტერმინოლოგიური მუშაობა ნორვეგიაში, დანიაში, შვედეთში, ისლანდიასა და ფინეთში ერთი მიმართულებით ვითარდება. მაგალითად, მორფოსემანტიკურად მსგავს ტერმინს ირჩევენ ნორვეგიულისთვის, შვედურისა და დანიურისთვის, ამასთან, მნიშვნელობა იგივე უნდა ჰქონდეს ისლანდიურშიც და, მეტიც, ფინურშიც (ფინური ამ ენათა ჯგუფის მონათესავე ენა არაა, თუმცა ითვალისწინებენ ფინეთის ბილინგვურ გარემოს). ამ სამუშაოს კვალიფიციური ტერმინოლოგები სჭირდება, ამიტომაც ჯერ კიდევ 1979 წლიდან არსებობს სპეციალური კურსები მკვლევართათვის (ბენდლი და სხვ. 2005 : 1945). ტექნოლოგიურ დონეზეც სკანდინავიის ქვეყნები ცდილობენ ერთიანი სისტემა შეიმუშაონ, მაგალითად, არსებობს მონაცემთა ჩაწერის საერთო სკანდინავიური ფორმატი (NTRF). ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის სხვა ქვეყნების მსგავს სააგენტოებთან, კერძოდ, ეროვნული ტერმინთბანკზე მუშაობისას გამოყენებული იყო ლიტვის, საფრანგეთის, საბერძნეთის გამოცდილება, ასევე, საერთო კონცეფცია შემუშავდა ევროტერმინთბანკის პროექტთან ურთიერთანამშრომლობით.

4. დასკვნა

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ შვედეთის ტერმინოლოგიური პოლიტიკა ხასიათდება, ერთი მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკასთან კოორდინაციით ევროპული სტანდარტიზაციის პირობებში, მეორე მხრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე საერთო პრობლემებისა და ენის თავისებურებების გათვალისწინებით ემსახურება შვედურის, როგორც ქვეყნის მთავარი ენის განვითარების, შენარჩუნებისა და სტანდარტიზაციის საქმეს. მთავარი ტერმინთშემოქმედი არის ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. მისი მუშაობის ერთი, უმნიშვნელოვანესი სფეროა განათლება, რომელსაც ზემოთ გაკვრით შევხებით. ვგულისხმობთ სპეციალური ტრენინგების ჩატარებას, ტერმინოლოგიების მომზადებას, მათ მივლინებებს ევროპის სხვა ქვეყნებში, უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამების შექმნას.

შვედეთში ენობრივი დაგეგმარების აღსანიშნავად ტერმინი *sprakplanering* ფართოდ არ გამოიყენება. შვედები უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს *sprakvård*, რაც ითარგმნება როგორც ენაზე ზრუნვა, ენის კულტივაცია. შეიძლება ითქვას, რომ თავად ტერმინითაც ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია შვედეთისთვის ენობრივი დაგეგმარება და მისი ერთ-ერთი მთავარი მიმართულების – ტერმინოლოგიის – განვითარება შვედურ ენაზე.

ლიტერატურა

ბენდლი და სხვ. 2005 – Bandle, O., Braunmuller, K., Jahr, E.H., Karker, A., Naumann, H.P., Teleman, U. *The Nordic Languages: An International Handbook of the History of the North Germanic Languages*, Volume 2.

ბოლტონი, მეიერკორდი 2013 – Bolton, K., & Meierkord, C. English in contemporary Sweden: Perceptions, policies, and narrated practices. *Journal of Sociolinguistics*, 17(1), 93-117.

ბრეტანაქი 2011 – Bhreathnach, Ú. *A best-practice model for term planning*. PhD thesis, Dublin City University.

ბუჰერი 2007 – Bucher, A. Terminology work the swedish way. *Terminologija*, 14, 37-48.

გალინსკი 1998 – Galinski, C. Terminology infrastructures and the terminology market in Europe. In *Trans, Internet-Zeitschrift für Kulturwissenschaften*. September 1998, <http://www.inst.at/trans/0Nr/galinski.html>

ევროკომისია 2006 – http://ec.europa.eu/public_opinion/archives/ebs/ebs_243_en.pdf

ენის აქტი 2009 – Språklag, SFG 2009:600 the official translation into english.

ვინგშტედტი 1998 – Wingstedt, M. *Language ideologies and minority language policies in Sweden: historical and contemporary perspectives*.

ვინსა 1998 – Winsa, B. Language Attitudes and Social Identity: Oppression and Revival of a Minority Language in Sweden. Occasional Paper No. 17.

ვინსა 1999 – Winsa, B. Language planning in sweden. *Journal of Multilingual and Multicultural Development*, 20(4-5), 376-473. doi:10.1080/01434639908666384

ვინსა 2000 – Winsa, B. Language planning in Sweden. *Language planning in Nepal, Taiwan and Sweden*, 107-203.

ვინსა 2005 – Winsa, B. Language policies: instruments in cultural development and well-being. *International journal of circumpolar health*, 64(2).

ინგლისური ენის ფლობის ინდექსი 2015 – <http://www.ef.se/epi/>

ლიპოტი 2015 – Lipott, S. (2015). The Tornedalian Minority in Sweden. From Assimilation to Recognition: A ‘Forgotten’ Ethnic and Linguistic Minority, 1870–2000. *Immigrants & Minorities*, 33(1), 1. doi:10.1080/02619288.2014.896539

ნილსონი 2004 – Nilsson, H. Terminology work – the Swedish way. In *Eesti oskuskeel 2003*. Tallinn: Eesti Keele Sihtasutus. ISBN 9985-79-074-X.

ნილსონი 2004 – Nilsson, H. The realisation of a national term bank – how and why? *ELETO – 7th Conference “Hellenic Language and Terminology”*. Athens, Greece, 22-24 October 2009. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.463.5735&rep=rep1&type=pdf>

ნილსონი 2010 – Nilsson, H. Towards a national terminology infrastructure. In *Terminology in Everyday Life*, pp.61-78. DOI: 10.1075/tlrp.13.06nil

ნილსონი, მერკელი 2011 – Merkel M., Nilsson H. Getting to terms with terminology at Swedish public agencies In *Proceedings of the*

NODALIDA 2011 Workshop Creation, Harmonization and Application of Terminology Resources. May 11, 2011 Riga. Latvia http://dspace.ut.ee/bitstream/handle/10062/17277/chat2011_submission_7.pdf;sessionid=0095EA578A8E58C56A094FE77CB20D28?sequence=1

პეტერსონი 2003 – Pettersson, R. Ord, bild & form. In termer och begrepp inom informationsdesign.

სტორისი, თელენი 2010 – Steurs, F., & Thelen, M. Terminology in Everyday Life. Amsterdam, The Netherlands: John Benjamins Publishing Co.

ფრაურუდი, ჰილტენშტამი 1999 – Fraurud, K., & Hyltenstam, K. *Språkkontakt och språkbevarande: Romani i Sverige* (Language Contact and Language Maintenance: Romani in Sweden).

ჰალონენი და სხვ. 2014 – *Language Policies in Finland and Sweden*. Channel View Publications. Retrieved from <http://www.ebrary.com>

ჰულტი 2004 – Hult, F. M. Planning for multilingualism and minority language rights in Sweden. *Language Policy*, 3(2), 181-201. <http://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:su:diva-63155>

Proposals for an Operational Infrastructure for Terminology in Europe, <<http://www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer/>>

Pointer – Final Report, (DIT, 16/02/96), <http://www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer/report/>

Rikstermbanken – national term bank for Swedish terms www.rikstermbanken.se

Swedish Centre for Terminology: www.tnc.se

Maka Tetradze

Terminology Policy and Language Planning in Sweden

Summary

The article examines language planning and linguistic situation in Sweden in connection with terminology and language standardization. As a result of big flows of migrants, as well as historically existing ethnic and language minorities the country has developed well-set language planning policies.

First I overview the linguistic situation in Sweden and name some specific issues which should be taken into consideration in order to characterise the Swedish model of LPP. Main aspects are 1. Functioning of the English language in Sweden and 2. European Charter for Regional or Minority Languages by ratification of it Sweden recognised five official minority languages: Sami, Meänkieli, Finnish, Roma, and Yiddish.

Social and political factors led to the government to develop a legal framework of caring for the Swedish language, that is called Language Act which came into force in 2009. I analyse the core principles of language planning in accordance with the Act and highlight the article concerning the Swedish terminology.

The main part of the article consider Swedish Terminology National Centre (TNC) and its activities towards creating, establishing and implementing Swedish terms for various spheres. Some of their projects are discussed in the article, such as TISS and National Termbank (*Rikstermbanken*).

In the last part of the article I discuss the cooperation of the center on the regional and international levels, such as Nordic network of terminological issues and EU.